

სს „ბიჯი ფაინანშიალი“ და შვილობილი კომპანიები

წლიური ანგარიშგება

წელი დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
დამოუკიდებელი აუდიტორის რეპორტით

შინაარსი

1.	შესავალი.....	3
2.	ბიზნესის შეჯამება და მთავარი საქმიანობები.....	3
3.	ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის შეჯამება	10
4.	სტრატეგიული მიზნები და სამომავლო.....	12
5.	რეპორტის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი ადამიანები	19

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	20
ფინანსური პოზიციების კონსოლიდირებული ანგარიში.....	22
შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში.....	23
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში.....	24
აქციათა ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში.....	25
ფულადი ნაკადის კონსოლიდირებული ანგარიში.....	26
კონსოლიდირებულ ანგარიშებთან დაკავშირებული შენიშვნები.....	27

1. შესავალი

2022 წლის მენეჯმენტის რეპორტი (შემდგომში მოხსენიებული როგორც “რეპორტი”) მოიცავს სს BG Financial-თან (შემდგომში “კომპანია” ან BG Financial) და მის დაქვემდებარებულ კომპანიებთან (ერთად მოვიხსენიებთ როგორც “ჯგუფი”) დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს SARAS-ის (ბუღალტერიის, რეპორტირებისა და აუდიტის ზედამხედველობის სერვისი) მიერ. რეპორტი შეიცავს ჯგუფის ძირითადი საქმიანობების მიმოხილვას, მათ შორის ბიზნეს შეჯამებას, ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას, განვითარების გეგმებსა და ძირითად რისკებს, რომელსაც ჯგუფი უმკლავდება.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არა-ოპერირებადი ჰოლდინგია, და მისი სამი ძირითადი ოპერირებადი შვილობილი კომპანია სს Galt & Taggart, სს Express Technologies და სს Digital Area, ეს რეპორტი ფოკუსირდება ამ სამი მთავარი დაქვემდებარებულის მუშაობაზე.

2. ბიზნესის შეჯამება და მთავარი საქმიანობები

მოკლედ


სს BG Financial არა-ოპერირებადი კომპანიაა, რომელიც ოპერირებადი კომპანიების ჯგუფისგან შედგება, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს, კვლევით, საინვესტიციო ბანკინგისა და აქტივების მართვის სამუშაოებს Galt & Taggart-ის მეშვეობით; ბარათების დამუშავებისა და მათით გადახდის სამუშაოებს “ესქპრეს ტექნოლოგიების” (Express Technologies) დახმარებით; და ქმნიან e-commerce, ლოჯისტიკურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტებს Digital Area-ში გაერთიანებული პლატფორმების მეშვეობით.

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, BG Financial-ის 85.92%-ის მფლობელი სს BGEO Group-ია (2021 წლის 31 დეკემბრის ეს მაჩვენებელი 84.16% იყო), ხოლო 14.08% (2021 წლის 31 დეკემბრის 15.84%) პირდაპირ საქართველოს ბანკის PLC ჯგუფის მფლობელობაშია, რომელიც, თავის მხრივ BG Financial-ის მშობელი კომპანიაა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია დავით აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო.

ჯგუფის სტრუქტურა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი შედგება ჩამოთვლილი მთავარი დაქვემდებარებული კომპანიებისაგან. დაქვემდებარებულ კომპანიათა სრულ ჩამონათვალს ჯგუფის ფინანსურ კონსოლიდირებულ ანგარიშში იპოვით.



2. ბიზნესის შეჯამება და მთავარი საქმიანოებები (გაგრძელება)

“Express Technologies” (ექპრეზ ტექნოლოჯიზ)

ექსპრეზ ტექნოლოჯიზ 2007 წელს, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად დაარსა და აერთიანებს ქვე-კომპანიებს, რომლებიც ელექტრონული გადახდების ინდუსტრიაში მოღვაწეობენ. ექსპრეს ტექნოლოჯიზ-ის შექმნის მიზანი, ქართული გადახდების სისტემაში ახალი, რევოლუციური გადაწყვეტების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება იყო. მისი სერვისები აძლევენ მომხმარებლებს საშუალებას გამოიყენონ თანამედროვე გადახდის სისტემები, შეამცირონ საოპერაციო ხარჯები და უკეთ მართონ გადახდებთან დაკავშირებული რისკები. მომხმარებლისადმი მეგობრულ მიდგომასთან ერთად, ექსპრეს ტექნოლოჯიზ-ის უპირატესობა მომხმარებელთა პერსონალური მონაცემებისა და საკუთრების ეფექტური დაცვაა. ექსპრეს ტექნოლოჯიზში გაერთიანებული კომპანიები საკუთარ სერვისს აწვდიან ფინანსურ ინსტიტუციებს, სამთავრობო სააგენტოებს, სატელეკომუნიკაციო კომპანიებს, ინდივიდებს, მცირე და საშუალო ბიზნესებს. ექსპრეს ტექნოლოჯიზი უზრუნველყოფს სს საქართველოს ბანკის (თავის მხრივ ჯგუფის მშობელი კომპანიის, JSC BGEO Group-ის დაქვემდებარებული კომპანია), საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დიდი გადახდის სისტემის მუშაობას. 2022 წლის ბოლოსთვის, ექსპრეს ტექნოლოჯიზი მოემსახურა 2.9 მილიონ ბარათს, 38,589 POS ტერმინალსა და დაახლოებით 1000 ბანკომატს.

“ექსპრეს ტექნოლოჯიზში” გაერთიანებული კომპანიები საქართველოს ეროვნული ბანკის ქვეშ არიან რეგისტრირებული როგორც გადახდის სისტემის ოპერატორები და გადახდის სერვისის პროვაიდერები, შესაბამისად არიან საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ. კომპანია ოპერირებს მისი მთავარი პირდაპირი და არაპირდაპირი შვილობილი კომპანიების მეშვეობით, რომლებიც არიან: შპს Direct Debit Georgia, სს Georgian Card და შპს მეტრო სერვის+. ამ სექტორში, “ქართული ბარათი” სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ლიდერია, საქართველოში მხოლოდ ორი გადახდის სისტემით. “ქართული ბარათი”, ამ სფეროში საქართველოში ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ყველა მთავარი გადახდის სქემაზე მუშაობს (Visa, MasterCard, American Express, CUP, Diners Club, Discovery and JCB). 2019 წელს, “ქართული ბარათი” გახდა პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც PCI

3DS (სამ-დომენიანი დაცვა) სერთიფიკატი მიიღო, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს გამოიყენონ დამატებითი უსაფრთხოების მექანიზმი ონლაინ ტრანზაქციებისთვის. გადახდის სერვისების მიმწოდებელთა შორის, Direct Debit Georgia-ს მოწინავე პოზიცია უკავია, მისი ქმედებების მასშტაბიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ სერვისები, რომელთაც კომპანია გვთავაზობს გამოირჩევიან მულტი-ფუნქციური და ინოვაციური ხასიათით. მომხმარებლებს შეუძლიათ შეავსონ თავიანთი სატრანსპორტო ბარათები კომპანიის კიოსკებისა და მოლარეების მეშვეობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, თვითმომსახურების აპარატებთა რაოდენობა 3,200-მდე იყო. მეტრო სერვის+ პასუხს აგებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემების მართვასა და მუშაობაზე თბილისში, ბათუმში, რუსთავსა და ზუგდიდში. მან შეიმუშავა ტრანსპორტის ბარათით გადახდის სისტემა საქართველოში და 15 წელია ოპერირებს მუნიციპალური ტრანსპორტისა და საბაგიროების ღირებულების აგროვებასა და ადმინისტრირების სფეროში. კომპანია განაგრძებს 35 სერვის ცენტრს თბილისში, ბათუმში, რუსთავსა და ზუგდიდში და ემსახურება 1 მილიონზე მეტ მგზავრს, 1,090 მუნიციპალურ ავტობუსსა და 1,100 სამარშრუტო ტაქსს ყოველდღიურად. ექსპრეს ტექნოლოგიებზე დაქვემდებარებული სამივე კომპანია არის ინოვაციური და ერგება მუდმივად მზარდ სიახლეებსა და მომხმარებელთა მოთხოვნებს. ასე რომ, ექსპრეს ტექნოლოგიები მისი სერვისის მოსახერხებლობისა და თანამედროვე გადაწყვეტების წყალობით, კლიენტებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ბელიაშვილის ქუჩა 106, თბილისი 0159, საქართველო, ხოლო ელექტრონული მისამართია <http://www.et.ge>.

ბიზნესის მიმოხილვა

ექსპრეს ტექნოლოჯიზ, მისი ქვე-კომპანიების მეშვეობით ოპერირებს შემდეგი მიმართულებებით:

- **ბანკომატებისა და POS ტერმინალების ქსელის მართვა** - ჯორჯიან ქარდის მომსახურება მოიცავს ბანკომატებისა ტერმინალების ქსელის მართვას;
- **ტრანსპორტის გადახდის ავტომატური სისტემები** - მეტრო სერვის+ -ის მეშვეობით, ექსპრეს ტექნოლოჯიზ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის გადახდის ერთადერთი სერვისია თბილისში, ბათუმში, რუსთავსა და ზუგდიდში;
- **მომხმარებელზე მორგებული პროგრამა** - ჯგუფი ყურადღებას აქცევს პროგრამული მხარის დიზაინსა და ინფრასტრუქტურას და მომხმარებელს სთავაზობს e-commerce გადაწყვეტებს;
- **ქსელის სტატუსის მართვა** - უნივერსალური ქსელური სისტემა, რომელიც მუდმივად აკონტროლებს თვითმომსახურების აპარატთა მუშაობას.
- **ტრანზაქციათა დამუშავება** - ჯორჯიან ქარდის, როგორც დამუშავების ცენტრის ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს უსაფრთხო კავშირი; განყოფილებებს, ბარათის მფლობელებს, მოვაჭრეებსა და სხვა სერვისის მიმწოდებელთა შორის. დამუშავების აპარატთა უმრავლესობა მუშაობს Visa, MasterCard, American Express, UPI და Diner's club სადებიტო და საკრედიტო ბარათებზე (მათ შორის უკონტაქტოებზე), კონკრეტულად კი მაგნიტური და ჩიპ-ბარათების აპლიკაციებზე;
- **ბარათების პერსონალიზირება** - ჯორჯიან ქარდს-ს შუძლია დაბეჭდოს ნებისმიერი რაოდენობის ბარათი და მომხმარებელს მულტი-პლატფორმული ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სერვისის შესთავაზოს;

- **მულტიფუნქციური თვითმომსახურების ტერმინალები** - საქართველოს მასშტაბით ადვილად ხელმისაწვდომი ტერმინალები მომხმარებელთა საჭიროებებს აკმაყოფილებენ, აძლევენ რა საშუალებას გადაიხადონ სხვადასხვა პროვაიდერის სერვისის საფასური (კომუნიკაციებისა და საკაბელო ტელევიზიის კომპანიები, მობილური, სატელეფონო და ინტერნეტ პროვაიდერები, გადასახადები, პარკინგისა და მგზავრობის საფასური, ისეთი საბანკო სერვისები, როგორებიცაა დეპოზიტი, კრედიტი და სხვა გადახდები, საქველმოქმედო დონაციები, ბილეთები და ა.შ). კომპანია ემსახურება სს საქართველოს ბანკის თვითმომსახურების ტერმინალებსაც;
- **სპეციალური თვითმომსახურების ტერმინალი ნაღდი ფულისთვის** - მსგავსი ტერმინალები 2017 წლიდან ემსახურება კომპანიებს, რომელთან ნაღდი ფულის ბრუნვის მაღალი დღიური მაჩვენებელი აქვთ. ასეთი ტერმინალით მათ შეუძლიათ რაც შეიძლება სწრაფად გადაიტანონ ქეში ანგარიშზე;
- **მოლარე-ოპერატორები** - დირექტ დებიტ ჯორჯია მართავს ერთი ფანჯრის პრინციპისა და მოლარე-ოპერატორების დახმარებით მიაწოდოს სერვისი მსურველებს იუსტიციის სახლებში, სერვისის განვითარების სააგენტოებსა და ბათუმის საბაჟო ზონაში.

Galt & Taggart

Galt & Taggart საქართველოში შუამავლობის, კვლევის, ინვესტიციისა და კორპორაციული საკონსულტაციო სერვისების მომწოდებელი ლიდერი კომპანიაა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო კლიენტებს, მათ შორის მაღალი შემოსავლების მქონე ინდივიდებსა და ბიზნესებს, აძლევს საშუალებას შეასრულონ სხვადასხვა ტიპის ფინანსური მიზნები. მისი არსებობის განმავლობაში, კომპანიამ დაიმსახურა არაერთი გლობალური ჯილდო - მათ შორის, სულ ცოტა ხნის წინ მიიღო Global Finance-ის “საუკეთესო საინვესტიციო ბანკის ჯილდო 2023” და Euromoney-ის “Award for excellence 2023”.

Galt & Taggart საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში დაარსდა, 1995 წელს. კომპანია საბროკერო სახლად ოპერირებს 2014 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბროკერო ლიცენზიის მეშვეობით. Galt & Taggart-ს მთლიანად ფლობს BG Financial, რაც ნიშნავს, რომ მისი “მშობელი კომპანია” (100%) არის Bank of Georgia Group PLC, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზეა რეგისტრირებული. Galt & Taggart - ის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია პუშკინის ქ. 3, თბილისი, 0105, საქართველო, ხოლო ელექტრონული მისამართია <https://galtandtaggart.com>

Galt & Taggart რამდენიმე პრაქტიკას მოიცავს: (1) კვლევა - საქართველოს მაკროეკონომიკური კვლევა, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის კვლევა, ფიქსირებული შემოსავლისა და გლობალური ბაზრის კვლევა.; (2) შუამავლობა - საქართველოს ლიდერი საბროკერო სახლი, white label სტრუქტურის მეშვეობით Saxo ბანკის ექსკლუზიური პარტნიორი, და ასევე, აშშ-ში რეგისტრირებული საბროკერო სახლის DriveWealth-ის პარტნიორი; (3) DCM/ECM - ადგილობრივი ბაზრის მთავარი მოთამაშე და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციებისა და კორპორაციების მთავარი მენეჯერი; (4) კოპორატიული კონსულტაცია - 30-ზე მეტი დასრულებული ტრანსაქცია გასული 10 წლის განმავლობაში.

საბროკერო მომსახურება: G&T -ს საბროკერო საქმე 2022 წელს სტაბილურად წარიმართა და 7.4 მილიონი ლარის მოგება ნახა, მაჩვენებელი წლიდან-წლამდე 1% პროცენტით შემცირებულია, წმინდა მარჟა - 52%. საქართველოს ბანკის ციფრული სტრატეგიის შესაბამისად, კონცეტრირდით ჩვენი საბროკერო შეთავაზებების გაციფრულებაზეც.

Galt & Taggart საქართველოს საბროკერო სახლია და რეგიონშიც ერთ-ერთი მოწინავეა ამ საქმეში - სთავაზობს რა მომხმარებლებს კონკურენტუნარიან საბროკერო სერვისებს

გლობალურ და რეგიონის რთულად მისაწვდომი ბაზრებისთვისა და OTC ოპერაციებისთვის. კომპანია არარეზიდენტ ინვესტორებს აძლევს წვდომას უნიკალურ ქართულ და რეგიონალურ ფიქსირებული შემოსავლის ბაზარზე და დამატებით, აძლევს რეზიდენტ ინვესტორებს საერთაშორისო კაპიტალურ ბაზარზე წვდომას. გამოცდილ ინვესტორებს, კომპანია უფრო დახვეწილ პროდუქტებსა და მიდგომას სთავაზობს. მაგალითად, სტრუქტურირებულ პროდუქტებსა და არა-დისკრეციულ პორტფელის მართვის სერვისებს. საქართველოს ბანკი რეგიონში Clearstream-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია და Galt & Taggart-ს შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფს. კომპანია 22,000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება. ის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერაა ლიცენზირებული და შედეგებით გამყარებულ ხარისხიან სერვისს აწვდის მსურველს. კომპანიის საბროკერო მხარე კლიენტებს სამი ტიპის საინვესტიციო ანგარიშს სთავაზობს:

ინვესტიციის ანგარიშის ტიპი	სამიზნე აუდიტორია	შეთავაზებული პროდუქტები
განხორციელებული საბროკერო სერვისი, (ოფლაინ საბროკერო სერვისი, ასისტენტის დახმარებით)	მაღალი შემოსავლის მქონე ბიზნეს და ინდივიდუალური კლიენტები	აქციები, ETF, ფონდები, ETN, ფისიებული შემოსავალი, სტრუქტურული პროდუქტები. არადისკრეციული პორტფელის მენეჯმენტი
Trader.ge (ონლაინ სავაჭრო პლატფორმა, white-label გადაწყვეტა, 2015 წლიდან Saxo Bank -თან პარტნიორობით)	ლეგალური კომპანიები და ინდივიდუალური კლიენტები	აქციები, ETF, ETN, ფიქსირებული შემოსავალი, CFD, FX, Options, Futures
ინვესტიციები (საცალო ბროკერული მომსახურება, რომელიც DriveWealth-თან ერთადაა შემუშავებული და საქართველოს ბანკის აპლკაციაშია ინტეგრირებული)	საცალო კლიენტები და მომხმარებელთა მასა	წვდომა NYSE, NASDAQ-სა და ფრაქციულ ვაჭრობაზე, სტოკებსა და ETF, ETN-ებზე პირველი საინვესტიციო აპლიკაცია ქართულ ენაზე. კლიენტთა ქონება ასევე დაზღვეულია SIPC-ის მიერ, \$500,000-მდე

Galt & Taggart - ის კვლევები: G&T ყოველკვირეულად, ყოველთვიურადა და კვარტალში ერთხელ აქვეყნებს გლობალური და ადგილობრივი ბაზრის მაკროეკონომიკურ განვითარებასთან და კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებულ ანალიზსა და რეპორტებს. G&T ასევე აწვდის მომხმარებლებს მათზე მორგებულ რეპორტებსაც, მათ შორის საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზს. 2022 წელს, G&T-მა გააუმჯობესა მისი ყოველკვირეული გლობალური ბაზრის ანალიზი - ყოველკვირეულად აწვდიდა მომხმარებლებს განახლებებს საგულისხმო ეკონომიკებსა და გლობალურ ბაზრებზე და მათთვის რამდენიმე კონფერენცია და შეხვედრა მოაწყო. G&T-მა გამოაქვეყნა 100-ზე მეტი რეპორტი (რომელთა წაკითხვაც აქ შეგიძლიათ <https://galtandtaggart.com/en>), მოაგროვა 8,000 უნიკალური გამომწერი და გააფართოვა მისი ინდივიდუალური კვლევის მომხმარებელთა ბაზა - ეს კი საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციების დაკვეთით მოხდა.

კორპორაციული კონსულტაცია და DCM/ECM მხარდაჭერა:

G&T ფინანსური კონსულტაციის სერვისებს აწვდის კერძო და საჯარო კომპანიებს, მაღალშემოსავლიან ინდივიდებს როგორც შიდა, ისე საზღვრის გარეთ ტრანზაქციებისთვის. 2022 წელს, G&T-ს კორპორაციული კონსულტაციის დანაყოფი ჩართული იყო კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამაში. პროგრამა ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული და EBRD-ის კაპიტალისა და ფინანსური ბაზრის განვითარების გუნდის მიერაა დანერგილი. პროგრამის მიზანი იყო, აემაღლებინა ცნობიერება კაპიტალის ბაზრებზე, მიეცა სტიმული

კომპანიებისთვის და დაენერგა კაპიტალ ბაზარზე წვდომის ხარჯების თანადაფინანსების მექანიზმი.

წლის განმავლობაში, 10-ზე მეტი ვებინარი და “ზუთ ქემპი” ჩატარდა კაპიტალ ბაზრის თემაზე. მეტიც, დარეგისტრირდა 21 კომპანია 12 სხვადასხვა სექტორიდან, მათგან კი 11-მა წარმატებით მოახერხა საჯარო ფასიანი ქაღალდების ადგილობრივ ბაზარზე გამოშვება, 7-მა კი პროგრამისგან გრანტიც მიიღო. პროგრამის ეფექტურობა აშკარაა, წარადგინა რა 5 ინოვაციური ფასიანი ქაღალდი (პირველი გენდერ-ობლიგაცია, პირველი მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაცია და მწვანე ობლიგაციები) და 6 დებიუტანტი ქართულ კაპიტალ ბაზარზე. G&T -მ ასევე შეინარჩუნა მსხვილი ადგილობრივი უძრავი ქონების კორპორაციების M&A მანდატები, FMCG, სასტუმრო და საცალო გაყიდვების სექტორებში. G&T-ის DCM/ECM სერვისებში შედის ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო სესხებზე წვდომა და კერძო კაპიტალ ბაზრები. გასული 10 წლის განმავლობაში, გუნდი დაეხმარა ადგილობრივ კორპორაციებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს 3.2 მილიარდი ლარის ღირებულების ობლიგაციების აგროვებაში, ადგილობრივ კაპიტალ ბაზარზე. 2016 წლიდან G&T 2.3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების თანა-მენეჯერადაც გვევლინება. 2022-ში, G&T-მ 7 კორპორატიული ობლიგაციისთვის იყო კაპიტალის განთავსების აგენტი, რამაც 500 მილიონი ლარი შეადგინა - ამ კორპორაციებიდან 5 საქართველოს ბანკის კლიენტი იყო. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ობლიგაციებმა კი 100 მილიონი ლარი შეადგინა.

Galt & Taggart ემორჩილება საერთაშორისო ეთიკურ სტანდარტებსა და ყველა იმ მოთხოვნასა და რეკომენდაციას, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს დინანსური მონიტორინგის სერვისს აქვს. საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობას აკონტროლებს კომპანიის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) დანაყოფი და ეს პროცესი ყოველდღიურ ოპერაციებშიცაა ინტეგრირებული.

Galt & Taggart -ის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია პუშკინის ქ.3, თბილისი, 0105, საქართველო. ხოლო, ელექტრონული მისამართია <https://galtandtaggart.com>

Digital Area (დოჯითალ არეა)

Digital Area კომპანიების ჯგუფია, რომელიც მოიცავს e-commerce სავაჭრო პლატფორმას extra.ge და სხვა არასაბანკო შეთავაზებებს ბიზნესებისთვის.

Optimo – მსუბუქი POS და ინვენტარის მართვის SaaS

Optimo არის ინვენტარისა და გაყიდვების მენეჯმენტის (მართვის) პროგრამა, ტრადიციული და e-commerce ბიზნესებისთვის. Optimo-ს ციფრული ინვენტარის მენეჯმენტი და POS გადაწყვეტა, ინტეგრირებული სოფტვეარ პროგრამით, მრავალმხრივი ფუნქციებითა და ანალიტიკური ხელსაწყოებით, საშუალებას აძლევს ბიზნესებს ადვილად მართონ გაყიდვები და ინვენტარი. კლიენტებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს და ადგილას ჰქონდეთ წვდომა გაყიდვების ტრანზაქციების მონაცემებსა და ინსაითზე, ინვენტარზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. რაც აძლევთ საშუალებას მიიღონ დროული და ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

Optimo-ს ორი მთავარი ბიზნეს მიმართულებაა: სოფტვეარ პროგრამა როგორც სერვისი და მონაცემთა მონეტიზაცია. 2022 წლის ბოლოს, Optimo-ს მოიხმარს 2,050-ზე მეტი მოვაჭრე მომხმარებელი, რაც წლიდან-წლამდე 97.1% ზრდაა.

E-commerce

Extra.ge საქართველოში ლიდერი E-commerce (ელექტრონული ვაჭრობის) პლატფორმაა, სადაც 500-ზე მეტი მოვაჭრე და 100 000 SKU პროდუქტი B2C და B2B გაყიდვებით ერთიანდება. პლატფორმაზე ინტეგრირებულია გადახდის გადაწყვეტები და მოსახერხებელი ციფრული შოპინგის, როგორც გამოცდილება. 2022 წელს Extra.ge-მ გააახლა ვებ-გვერდის დიზაინი და გააუმჯობესა მისი მობილური აპლიკაცია, მომხმარებლის ფიდბექის შესაბამისად. განახლებული დიზაინი და ინტერფეისი, უკეთეს ოპერაციულ პროცესთან ერთად, აისახა NPS ქულაზეც და 2022 წლის ბოლოს მაჩვენებელი 86-ია (2021 წლის 84-ისგან განსხვავებით). პლატფორმის ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლების (MAU) რიცხვმა, 2022 წლის დეკემბერში 350 000-ს მიაღწია - რაც წლიური 5.1%-იანი ზრდაა, ხოლო GMV, 2022 წლისთვის წლიურად 42.3%-ით გაიზარდა.

Moitane.ge პროდუქტის გამოძახების პლატფორმაა, რომელიც სხვადასხვა პროდუქციას გვთავაზობს, მათ შორის სურსათს, დაფასოებულ საჭმელს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პროდუქტებს, სილამაზის პროდუქტებსა და საჩუქრებს. ყველა პროდუქტის მიტანა მაქსიმუმ 30 წუთში ხდება. 2022 წლის მეოთხე კვარტალში სს Digital Area Moitane-ს 25.75% წილს ფლობდა, 2023-ში კი Digital Area-მ თავისი წილი Moitane-ში 25.75%-დან 80%-მდე გაზარდა.

3. ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის შეჯამება

ჯგუფის ფინანსური შედეგების ნაწილი

ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშს IFRS სტანდარტებისა და IFRIC ინტერპრეტაციების მიხედვით, რომლებიც IASB-მა გამოსცა. დეტალური ფინანსური მაჩვენებლების ნახვა შესაძლებელია ჯგუფის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშში, სადაც 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მონაცემები ერთიანდება. იხილეთ ჯგუფის ფინანსური შედეგების მნიშვნელოვანი მაჩვენებლები:

ფინანსური შედეგების კონსოლიდირებული ანგარიში	2022	2021
<i>ათასი ქართული ლარი</i>		
აქტივები ჯამში	245,279	311,659
კომპანიის აქციონერების აქციები ჯამში	97,451	81,581
<i>არა-კონტროლირებადი საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>350</i>	<i>267</i>
აქციები ჯამში	97,801	81,848
ვალდებულებები ჯამში	148,478	229,811
 შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში		
<i>ათასი ქართული ლარი</i>		
შემოსავალი	70,402	57,199
საოპერაციო ხარჯები	(63,906)	(49,173)
წმინდა ერთჯერადი ხარჯები	552	(71)
(დანაკარგი) წლის მოგება	7,048	7,955
სრული (დანაკარგი) მოგება:		
კომპანიის აქციონერები	6,983	7,960
<i>არა-კონტროლირებადი საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>65</i>	<i>(5)</i>
 სრული წლიური (დანაკარგი) შემოსავალი	6,949	7,800
კომპანიის აქციონერები	6,884	7,805
<i>არაკონტროლირებადი საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>65</i>	<i>(5)</i>

BG Financial არის ჰოლდინგ კომპანია, რომელიც აერთიანებს ბიზნესის განვითარებაზე, ზრდასა და შემოსავალიანობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს. ჯგუფის მოგებამ 2022 წელს 7.0 მილიონი ლარი შეადგინა, 2021 წლის 8.0 მილიონიან მოგებასთან შედარებით.

- ჯგუფის შემოსავალი წლიდან-წლამდე 23.1%-ით გაიზარდა, ძირითადად წმინდა საკომისიო შემოსავლის ხარჯზე, წლიდან-წლამდე 24.3% ზრდა და სხვა შემოსავლების ხარჯზე - 35.8% ზრდა წლიდან-წლამდე.

- ჯგუფის საოპერაციო ხარჯები გაიზარდა წლიური 30.0%-ით 2022 წელს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გაზრდილი ხელფასებითა და თანამშრომელთა ბენეფიტებით, ადმინისტრაციული და ამორტიზაციის ხარჯებითა, რომლებიც განპირობებული იყო ბიზნესის განვითარებაში გაზრდილი ინვესტირებით, დისტრიბუციის ქსელით, თანამშრომლებითა და გაციფრულების პროცესით.

არაფინანსური ინფორმაცია

ჩვენი ადამიანები

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჯგუფს ყავს 695 თანამშრომელი “ექსპრეს ტექნოლოგიზში”, 56 თანამშრომელი Galt & Taggart-ში და 154 თანამშრომელი Digital Area-ში. ჯგუფში შემავალი კომპანიების მიზანია მოიზიდონ და დაიტოვონ საუკეთესო ტალანტი. ადამიანური კაპიტალის განვითარება ჯგუფის ბიზნესის წარმატების საწინდარია, ამიტომ ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი სამუშაო პირობები, თანაბარი

შესაძლებლობები, მრავალფეროვნება და ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო. ჯგუფი აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას თანამშრომლების წინაშე. ამავდროულად, ის მოითხოვს სამართლიან და საზრიან მიდგომას დაქირავებულების მხრიდანაც, რაც გაწერილია შესაბამისი კომპანიის შიდა ხელმძღვანელობისა და ეთიკის კოდექსში.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო გარემოში

ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაო გარემოს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. ჯგუფის მიზანია საერთაშორისოდ აღიებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და უსაფრთხო, ჯანსაღი სამუშაო გარემოს შემქნა მისი თანამშრომლებისთვის. ოფისები აღჭურვილია ხანძრისგან დამცავი ინფრასტრუქტურით. თანამშრომლებს უტარდებათ ტრეინინგები შემთხვევითობების თავიდან ასაცილებლად და ბუნებრივი კატასტროფებისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას მყისიერი რეაგირებისთვის. ბიზნესის განგრძობითობის მართვის წესდება აქვს ჯგუფის ყველა კომპანიას და სპეციალური გუნდია პასუხისმგებელი კრიზისული სიტუაციების მართვაზე.

კორუფციის პრევენცია

კორუფცია და ქრთამი ჯგუფში ყოვლად მიუღებელია. ჯგუფი მკაცრად ამოწმებს ყველა ისეთ ქმედებასა და ტრანზაქციას რაც შესაძლოა აღქმული იქნეს, როგორც ჯგუფთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე უკანონო გავლენების მქონე. ამ სფეროს რეგულირების მიზნით, ჯგუფის კომპანიები იყენებენ დამატებით წესდებას ინტერესთა კონფლიქტის სამართავად. სპეციალურად შედგენილი სტრუქტურული განყოფილებები ან ადამიანები წარმართავენ საკონტროლო პროცედურებს, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველა თანამშრომელი და ყველა ქმედება მოდის წესდებასთან შესაბამისობაში.

4. სტრატეგიული მიზნები და სამომავლო გეგმები

Express Technologies (ექსპრეს ტექნოლოჯიზ)

2017 წელს, სს საქართველოს ბანკმა, თბილისის მერიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემათა მოდერნიზაციისა და მართვის ტენდერი მოიგო. შედეგად, საქართველოს ბანკი ისევ იქნება ტრანსპორტში გადახდის სერვისის ერთადერთი პროვაიდერი და მომდევნო 10 წლის განმავლობაში გააგრძელებს თბილისის მეტრო-სადგურებში ექსპრეს ფილიალების მართვას. ტენდერის მანდატისა და საკუთრივ ბანკის სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს ბანკი ნერგავს თანამედროვე გადახდების სისტემას თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთელს ქსელში, მათ შორის ისეთ გადახდებს, როგორებიცაა Visa, MasterCard და American Express ბარათები, ციფრული საფულეები: Apple Pay, Android Pay. ასევე ქმნის ციფრულ პლატფორმას ბილეთების მობილური აპლიკაციით დასაჯავშნადა და შესაძენად. მეტრო სერვის +, როგორც ბანკის დაქვემდებარებული კონტრაქტორი, პასუხისმგებელია ტენდერის პირობების შესრულებაზე, ხოლო Georgian Card და Direct Debit Georgia პროექტის განმავლობაში საჭირო სამუშაოებს შეასრულებენ. ექსპრეს ტექნოლოჯიზ გუნდი გააგრძელებს ქართული ტრანსპორტის საფასური გადახდის სისტემაში საერთაშორისო ბარათების ინტეგრირებას.

2006 წლიდან, Direct Debit Georgia აქტიურად ზრდის მისი სერვისებისა და არხების რიცხვს. მომავალში, გეგმავს გაზარდოს საქართველოს დაფარვის არეალი და მოსახლეობის უმრავლესობას მიაწოდოს გარანტირებულად უსაფრთხო და სწრაფი ყოველდღიური გადახდები. 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, გასული 5 წლის განმავლობაში, გადახდის არხების რიცხვი 3,200 თვითმომსახურების აპარატამდე გაიზარდა, წლიური გადახდების ბრუნვა კი გასამმაგდა და 2022-ში 10 მილიარდამდე ლარს მიაღწია. კომპანიის მიზანია გააგრძელოს პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესება.

Georgian Card გამუდმებით აახლებს სერვისებს და წარადგენს ისეთ ინოვაციებს, როგორებიცაა სახის ამომცნობი სისტემით გადახდა, 2020 წელს ჩაშვებული, პირველი აგილობრივი ჩიპ-ბარათები, უკონტაქტოდ ფულის განაღდება და ა.შ. კომპანიის მიზანია სისტემაში ჩართულ მხარეებს შესთავაზოს თანამედროვე პროდუქტები და ტექნოლოგიები, რათა მიაწოდოს მათ დაცული, მარტივი და ადეკვატური სერვისი. ამ მიზნის შესასრულებლად, კომპანია ყოველწლიურად მოწმდება PCI შესაბამისობაზე. მოწმდება სხვა აუდიტების მიერაც და მზადაა შეხვდეს ახალ გამოწვევებს, ბაზარზე და უფრო მაღალი სტანდარტები დაამკვიდროს. მომავალში, ექსპრეს ტექნოლოჯიზ ჯგუფი აპირებს მისი სერვისები გაამრავალფეროვნოს და მომხმარებელთა ბაზა გააფართოვოს.

Galt and Taggart

Galt & Taggart-ის სტრატეგიული ფოკუსი და სამომავლო გეგმები მისი სერვისების გაფართოებასა და ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარების ირგვლივ ტრიალებს.

1. კაპიტალის ბაზრის განვითარება: Galt & Taggart-ის მიზანია იყოს მთავარი მოქმედი ძალა ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარებაში. Galt & Taggart-ის მისიაა გაადვილოს ფასიანი ქაღალდებისა და სესხების ტრანსაქციები და მივცეთ კომპანიებს ინფორმაცია კაპიტალის ბაზრის შესაძლებლობებზე.
2. პარტნიორობების გაფართოება: Galt & Taggart-ის მიზანია პარტნიორობის წრის გაფართოება. Galt & Taggart-ის კოლაბორაცია სს საქართველოს ბანკის პრემიუმ საბანკო სეგმენტთან მყარია, თუმცა, აქტიურად ვეძებთ ახალ სამომხმარებლო და ინსტიტუციონალურ ინვესტორებს, რათა კიდევ უფრო გავიზარდოთ.

3. სრულყოფილი საკონსულტაციო სერვისი: საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირის გაფართოებით, Galt & Taggart მიზნად ისახავს გახდეს სანდო მრჩეველი და დაეხმაროს კლიენტებს კომპლექსური ტრანზაქციების შესრულებაში.

4. სრულყოფილი საბროკერო მომსახურება: Galt & Taggart-ის ამბიციია, რომ საბროკერო მომსახურება, როგორც გამოცდილება, გააუმჯობესოს. Galt & Taggart აჩქარებს ვაჭრობასა და შიდა პროცესებს, ისე, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ გაწერილ წესებთან სრულ თანხვედრაშია.

5. კვლევითი მიმართულება: Galt & Taggart მიზნად ისახავს გააფართოვოს კვლევების არეალი და ხარისხი. Galt & Taggart-ის კვლევები ეხმარება ეკონომიკური პოლიტიკისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების გაძლიერებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მზარდ ეკონომიკაში.

Digital Area

Digital Area-ს მთავარი მიზანია მისი არსებული პლატფორმებისა და პროდუქტის გაუმჯობესება, მომხმარებელთა ბაზის გაფართოება და მომხმარებლისთვის ყოველდღიურ, საჭირო სერვისად ჩამოყალიბება.

Extra.ge-ს საშუალოვადიანი პრინციპული მიზანია გაზარდოს საკუთარი მასშტაბი. ის კონცენტრირდება როგორც B2C ისე B2B e-commerce სეგმენტებზე, ინტეგრირებული გადახდის სისტემების შეთავაზებითა და სასიამოვნო ციფრული შოპინგის გამოცდილებით. Extra.ge-ს მიზანია მიწოდების სერვისის დაჩქარება და მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების სერვისის დანერგვა. Extra.ge მოახდენს Moitane-ს, ახლახანს შემენილი სწრაფი კომერციის პლატფორმის ინტეგრირებას ვებსაიტსა და აპლიკაციაში. ინტეგრირება გამოიწვევს ახალი პროდუქტების კატეგორიების დამატებას, მაგალითად, სურსათის ბავშვთა კვებისა და მოვლის, თავის მოვლის, სათამაშოების, შინაური ცხოველების კვებისა და მოვლის, ელექტრომომწოდებლობების და ა.შ. ეს კი გაზარდის Extra.ge-ს პროდუქტების არჩევანს და გახდის მას მომხმარებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო რელევანტურს.

Optimo-ს სამომავლო გეგმები მოიცავს მომხმარებელთა ბაზის ზრდას როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისოდ. ეს ზრდა მიგვიყვანს ახალი მომხმარებლების მნიშვნელოვან რაოდენობამდე.

Digital Area დამწყები სტარტაპების მხარდაჭერაზეა ფოკუსირებული. 2022 წლის ნოემბერში, Digital Area-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და 500 Georgia-ს 20 მილიონიან ფონდში 5 მილიონ დოლარიანი შენატანი გააკეთა. 5 წლიანი პარტნიორობის განმავლობაში, ფონდი ამ რესურსების ალოკაციას მოახდენს და 150 სტარტაპის ზრდას შეუწყობს ხელს.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის მთავარი შვილობილი კომპანიები აიდენტიფიცირებენ, აფასებენ, მართავენ და აკონტროლებენ რისკებს კონტროლის მართვის ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც მოიცავს

ფორმალურ პოლიტიკა და პროცედურებს, მკაფიოდ დელეგირებულ უფლება-მოვალეობებს და ანგარიშგების პროცესს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ფასის ცვლილება, საბაზრო ფაქტორების შედეგად - ეს ფაქტორებია, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის მერყეობა, უცხოური ვალუტის კურსი და ფასიანი ქაღალდების ფასის ცვლილება. საბაზრო რისკების ყველაზე გავრცელებული ტიპებია საპროცენტო განაკვეთის რისკი, ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რისკი, ვალუტის რისკი. ჯგუფს აქვს ვალუტის რისკი, რომელიც მოაზრებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებას. ჯგუფის წევრები ანალიზებენ და აკონტროლებენ უცხოური ვალუტის პოზიციებს იმ ვალუტებში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ჩვენზე და შესაძლოა გავლენა მოახდინონ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებზე. ჯგუფი კარგად იცნობს ეკონომიკურ ტენდენციებს და რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა სავალუტო რისკების შემცირების მიზნით. ეს ნაბიჯები ძირითადად მოიცავს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობას.

2021 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით, მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ჯგუფისთვის მნიშვნელოვან ვალუტებსა და კურსის მისაღები ცვლილების მაჩვენებლებზე დეტალური ანალიზი გაწერილია შენიშვნა 18-ში, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშში.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს ნაკისრი გადახდის ვალდებულებების შესრულებას დათქმულ ვადაში, ნორმალურ ან სტრესულ გარემოებებში. ლიკვიდობის რისკი ჯგუფის კომპანიების მიერ კარგად ანალიზდება და კონტროლდება. 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზზე დაყრდნობით, მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ლიკვიდურობა შეესაბამება ჯგუფის წინაშე მდგარ მოთხოვნებს. ჯგუფის კომპანიები ყოველთვის ასრულებენ ვალდებულებებს და არასოდეს დამდგარან დეფოლტის წინაშე. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პროფილი, გადახდის ვალდებულებებზე დაყრდნობით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მე-18 შენიშვნაში მოიპოვება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი მოდის იმ ალბათობიდან, რომ შეიძლება რომელიმე მხარემ კონტრაქტული ვალდებულება არ შეასრულოს. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობით დაკავებული კომპანიები ამ რისკს ხვდებიან OTC ტრანზაქციებისას. საკრედიტო რისკის შემცირება შესაძლებელია ეფექტური რისკის მართვის პროცედურებითა და კონტრაგენტების ანალიზით და მათთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირებით. ჯგუფი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს, მისაღები რისკის იმ ლიმიტების დაწესებით, რომელიც მისთვის მისაღებია ინდივიდუალური კონტრაქტორის, გეოგრაფიის, ინდუსტრიის, პროდუქტისა და ვალუტის კონცენტრირების მიხედვით. ჯგუფმა დანერგა საკრედიტო ხარისხის შეფასების პროცესიც, რათა მალევე ამოიციოს მოსალოდნელი ცვლილებები კონტრაგენტების კრედიტუნარიანობაში. Galt & Taggart დეტალურად იკვლევს ემიტენტებს, რათა თავიდან აირიდოს მათი მხრიდან საკონსტრაქტო ვალდებულებების დეფოლტი, რაც პოტენციურად შესაძლოა კომპანიისთვის რეპუტაციულ რისკს წარმოადგენდეს. მის ხელთ არსებული ინფრომაციის მეშვეობით, კომპანია ინვესტორებს აფრთხილებს ყველა პოტენციური რისკის

შესახებ. 2022 წლის 31 დეკემბერის მონაცემებით, Galt & Taggart-ის გაცემული სესხი გაუფასურდა და გადაკვალიფიცირდა, როგორც მესამე კატეგორიის სესხი, რადგან მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლები გაუარესდა. 2022 წელს, უზრუნველყოფის ღირებულების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვალა სესხების ღირებულებასა და საბაზრო უზრუნველყოფის ღირებულებას შორის სხვაობით.

ჯგუფს არ აქვს ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული კრედიტების ხარისხის შეფასების სისტემა. საკრედიტო რისკის მაქსიმუმი ლიმიტირებულია შესაბამისი ფინანსური აქტივების ღირებულებით.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის რისკი ფინანსური ან არა-ფინანსური დანაკარგებისა, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან არაეფექტური შიდა პროცესებით, პროცედურებითა და სისტემებით, ადამიანური ფაქტორებით ან გარე მოვლენებით, ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა Galt & Taggart, Express Technologies და Digital Area, საოპერაციო რისკის გამომწვევ მრავალ მიზეზს შორის არის თაღლითობა, ბიზნესის შეფერხება და სისტემური შეცდომა, თანამშრომელთა შეუფერხებელი ქცევა, არასწორი ფინანსური/მენეჯერული ანგარიში და რეპორტირება, არავტორიზებული ვაჭრობა, ცუდად მომუშავე სავაჭრო პლატფორმები და ა.შ.

კომპანიები აიდენტიფიცირებენ და აფასებენ საოპერაციო რისკს, აკონტროლებენ საოპერაციო რისკის პროფილს და მუდმივად აუმჯობესებენ გარემოს კონტროლს, პროცესების ავტომატიზაციით - რაც ადამიანურ შეცდომებსაც ამცირებს. თანამშრომლები ორმაგი შემოწმების მექანიზმს იყენებენ, რათა შეამცირონ თაღლითობისა და ადამიანური შეცდომის შემთხვევები.

Galt & Taggart, Express Technologies-სა და Digital Area-ს აქვთ ეფექტური პროცედურები დანერგილი იმისთვის, რომ როგორც შიდა, ისე გარე თაღლითობა აღკვეთონ. თანამშრომლები გადიან რამდენიმე საფეხურიან ვალიდაციის პროცესს ტრანზაქციების შესასრულებლად. ყველა აქტივობა მოითხოვს ვერიფიკაციებსა და თანხმობებს სხვადასხვა დონეზე. მეტიც, ზოგიერთი პროცედურა უზრუნველყოფს ვალდებულებების გადანაწილებასაც. ყველა კომპანია რეგულარულად ატრენინგებს თანამშრომლებს, რათა აამაღლოს ცნობიერება საოპერაციო რისკების შესახებ.

კომპანიებს, ასევე ემუქრებათ რისკი ხელისშემშლელი მოვლენებისა, რამაც შესაძლოა ძლიერი გავლენა იქონიოს მათ შესაძლებლობაზე შეასრულონ ბიზნეს ვალდებულებები. ინციდენტებმა, რომლებიც მათ აქტივებს აზიანებს, მათ შორის IT ინფრასტრუქტურას, შესაძლოა გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი როგორც ჯგუფისთვის, ისე ადგილობრივი ინდუსტრიისთვის. ამ რისკებისადმი მედეგობა რომ უზრუნველყოფთ, Express Technologies-მა დანერგა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომელიც მისი საქმიანობების ხასიათს, ზომასა და კომპლექსურობას შეესაბამება. გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა სცენარს, რომელიც შეიძლება კომპანიას დაუდგეს, მათ შორის სისტემური ან ტექნოლოგიური ხარვეზები. გარდა ამისა, Galt & Taggart აქტიურად მუშაობს მის ბიზნეს უწყვეტობის გეგმაზე.

რეგულატორული რისკი

Galt & Taggart -ი აქვს რეგულატორული რისკი, რადგან ის მკაცრად რეგულირებულ სფეროში ოპერირებს და მარეგულირებლების დაკვირვების საგანია. Galt & Taggart -ში, რისკის მართვის პროცესი შეესაბამება კანონმდებლობასა და ფინანსური ინდუსტრიის

საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, კანონმდებლობით ჩარჩოს, ზოგიერთ სფეროში აკლია რეგულაციები, ხოლო ზოგიერთ სფეროში წარმოდგენილი რეგულაციები ზოგადია და სხვადასხვანაირად ინტერპრეტირებადი. დამატებით, კომპანია გაზრდილი რეგულაციათა მოთხოვნების საგანიცაა. მარეგულირებელი ადგილობრივი ბაზრისთვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და საუკეთესო პრაქტიკასთან ჰარმონიზებას გამოწვევად სახავს. ამან, კი შესაძლოა, გაზრდილი ხარჯებით, ოპერაციების მოუქნელობითა და უმკაცრესი რეგულირებით, დამატებითი დაბრკოლება შეუქმნას კომპანიას. ასევე, შესაძლოა შეფერხდეს საბროკერო სერვისების ადგილობრივი განვითარება და შემცირდეს მათი კონკურენტუნარიანობა გლობალური გადმოსახედიდან.

დამატებით, არსებული რეგულაციები მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და რეალური პრეცედენტის არარსებობა ართულებს გაგებას, როგორ შეიძლება ესა თუ ის რეგულაცია მოერგოს ბიზნესს. მითუმეტეს, რომ Galt & Taggart მომავალში აპირებს წარადგინოს ახალი პროდუქტები და სერვისები. რეგულაციებისა და კანონის ნებისმიერმა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯარიმა და ნეგატიურად აისახოს ბიზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ადეკვატური და კონკრეტული განვითარების სტრატეგიის არარსებობა კაპიტალის ბაზრის სფეროში ართულებს პროგნოზირებას, თუ რა მიმართულებით ვითარდება ინდუსტრია და შესაბამისად, აუარესებს Galt & Taggart-ის მზაობას, შეხვდეს სამომავლო რეგულატორულ ცვლილებებს.

ინფორმაციის დაცულობა

თანამედროვე, ციფრული სამყარო შეიცავს კიბერ-თავდასხმების მზარდ რისკს, განსაკუთრებით ფინანსურ სექტორისთვის. ჯგუფი ეყრდნობა მისი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებს რათა ეფექტურად და შეფერხების გარეშე მართოს ბიზნესი. ნებისმიერ შეფერხებასა და შეცდომას შესაძლოა ჯგუფზე უარყოფითი ეფექტი ქონდეს. მიმდინარე კიბერ-თავდასხმების მცდელობების საპასუხოდ, ჯგუფმა შეიმუშავა ყოვლისმომცველი მიდგომა დაცვის გასაძლიერებლად და მედეგობის გასაუმჯობესებლად, მუდმივად განვითარებადი კიბერ-შეტევების წინააღმდეგ.

ჯგუფი ამუშავებს და რეგულარულად აახლებს ინფორმაციას უსაფრთხოების წესებსა და სტანდარტებზე. ჯგუფის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტში, თანამშრომელთა ტრეინინგი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მუდმივი ყურადღება თანამშრომლების რელევანტური ცოდნითა და შესაბამისი ხელსაწყოებით აღჭურვისადმი, უზრუნველყოფს მათ უნარს ამოიციონ და შეეწინააღმდეგონ ინფორმაციული დაცვის ინციდენტებს. წლიური ინფორმაციული უსაფრთხოების ტრეინინგი სავალდებულოა ყველა რელევანტური თანამშრომლისთვის.

კიბერ-შეტევის საფრთხის მუდმივად ცვალებადი ბუნების გამო, ექსპრეს ტექნოლოგიზ-მა დააარსა სპეციალური გუნდი, რომელიც საფრთხეებზე მუშაობს. გუნდი მუდმივად აკვირდება ახალ კიბერ საფრთხეებს, ააანალიზებს ტენდენციებს და მიღებულ ინფორმაციას იყენებს ორგანიზაციის უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებაში.

ჯგუფი რეგულარულად აწყობს სიმულირებულ თავდასხმებს (ტესტირება) საკუთარ სისტემებზე და ვენდორების ვებ-გვერდებსა და პროგრამებზე. ეს სავარჯიშოები ემსახურება პოტენციური სისუსტეების გამოვლენას და მათ დროულად გამოსწორებას.

მსგავსი ტესტირება და რეგულარული შეფასება პოტენციური სისუსტეებისა, ხდება ჯგუფის მთლიან ციფრულ ინფრასტრუქტურაში. ეს შეფასებები მკაცრად აკონტოლებს სოფტვეარს,

ჰარდვარს და კონფიდურაციას, რათა ამოიცნოს სუსტი წერტილები, რაც თავისთავად ზრდის ორგანიზაციის მედეგობას.

სისტემებსა და მონაცემებზე არავტორიზებული წვდომის რისკების მინიმიზაციისთვის, ექსპრეს ტექნოლოგიზ-ს დანერგილი აქვს მკაცრი საკონტროლო მექანიზმები წვდომაზე. დამატებით, რამდენიმე საფეხურიანი ავტორიზაცია ფართოდ დანერგილია, რათა ვერიფიკაციის პროცესი უკეთესი იყოს. ასევე, კომპანია ახორციელებს სიმულაციებს, რათა რამდენიმე სცენარი დატესტოს. ეს სავარჯიშოები აძლევს ორგანიზაციას საშუალებას დახვეწოს ინციდენტზე თავისი საპასუხო ქმედებები.

ექსპრეს ტექნოლოგიზ-ის უსაფრთხო კოდირების პრაქტიკა ემსახურება არ აღმოჩნდეს სისუსტეები აპლიკაციასა და სოფტვეარ პროგრამაში. ამის გარდა, ქსელის სეგმენტაციასაც ახდენს, რათა კრიტიკული სისტემები იზოლირებული დარჩეს. ეს ზომები პოტენციური გარღვევების ეფექტებს ამცირებს და ზოგადად უსაფრთხოებას აუმჯობესებს. ექსპრეს ტექნოლოგიზ-ში უსაფრთხოების აუდიტები ტარდება, რათა თანმიმდევრულად შეფასდეს მექანიზმების ეფექტურობა. ეს აუდიტები აფასებს პერსონალის ქცევასაც, არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ სს Georgian Card და შპს მეტრო სერვის + შეესაბამებოდა PCI DSS სტანდარტებს. PCI DSS წესებისადმი რეგულარული და განგრძობითი მორგება უზრუნველყოფს უსაფრთხო ტრანზაქციებს და იცავს ბარათის მფლობელებს მონაცემთა არასწორად გამოყენებისგან.

მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის რისკები არის რისკები, რომელიც განპირობებულია მონაცემთა დამუშავებით, როგორცაა პერსონალური მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა, ცვლილება, არავტორიზებული გამოქვეყნება, ან არავტორიზებული წვდომა. ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს მატერიალური და არა-მატერიალური ზარალი, როგორებიცაა: ფინანსური ზარალი, რეპუტაციული ზიანი ან სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან სოციალური უარყოფითი შედეგები.

ჯგუფი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს საქართველოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებისა და პრინციპების შესაბამისად. 2023 წლის ივნისში, საქართველოში მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა შეიცვალა. . ეს ცვლილება მტკიცედაა დაკავშირებული ზოგად მონაცემთა დაცვის რეგულაციასთან (GDPR) და კიდევ უფრო განამტკიცებს პირადი მონაცემების დაცვას ჯგუფში.

ჯგუფმა გამართა ინფორმაციის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პროგრამა, რომელიც შეესაბამება მიმდინარე ბიზნეს და რეგულაციურ მოთხოვნებს. ჯგუფმა დანერგა შესაბამისი კონფიდენციალობისა და ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკაც, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების მოპყრობის და დამუშავების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მთლიანობას, კონფიდენციალურობას და ხელმისაწვდომობას. დამატებით, ჯგუფი აქტიურად ცდილობს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას, რათა დროულად შეძლონ ამოიცნონ და მართონ პოტენციური რისკები. ეს პროაქტიული მიდგომა ამცირებს იმ ადამიანური შეცდომების ალბათობას, რომლებმაც შეიძლება პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევა გამოიწვიოს.

ფულის გათეთრების რისკი

ჯგუფის ყველა კომპანია, რომლებზეც ვრცელდება ფულის გათეთრების (AML) აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონი, არის შესაბამისობაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტებთან. კონტრაგენტთან ურთიერთობისას ხდება მისი პროფილის შესწავლა და გაურკვეველი წარმომავლობის ფინანსების ბრუნვის აღკვეთა. საექვო შემთხვევებში, კომპანია კომპეტენტურ ავტორიტეტებს უკავშირდება, ინსტრუქციების მისაღებად და ადეკვატური საპასუხო ქმედებების განსახორციელებლად.

Galt & Taggart საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების დაცვაზეა ორიენტირებული, რათა ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება გამორიცხოს. კომპანიას გააჩნია AML პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც დაწერილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად არაღელვარული შემოსავლის ფასილიტაციასა და პრევენციაზე. ასევე, სრულად ითვალისწინებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სერვისის რეგულაციას საბროკერო კომპანიებზე. დოკუმენტი FATF-ის რეკომენდაციებსა და ევროკავშირის დირექტივებსაც ითვალისწინებს. კომპანია კლიენტების შესამოწმებლად იყენებს KYC პროცედურას და ხელმძღვანელობს AML/CFT რისკის შეფასების და მართვის პოლიტიკით. ყოველწლიურად, შესაბამის თანამშრომლებს AML ტრენინგები უტარდებათ.

Galt & Taggart-იცა და Express Technologies-იც ითვალისწინებენ საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სერვისის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას და აქტიურად თანამშრომლობენ მათთან არაკანონიერი შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისთვის. ჯგუფს არ გამოუვლენია არაღელვარული ტრანზაქციების საექვო შემთხვევები არც გადახდების ბიზნესისა და არც Galt & Taggart-ის მეშვეობით.

ჯგუფი აქტიურად უწევს პოპულარიზაციას სანქციებთან შესაბამისობის კულტურას და შესაბამისად, ჯგუფის ყველა კომპანია შესაბამისობაშია საერთაშორისო სანქციებთან, რომლებიც ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, გაეროსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერაა დაწესებული. საქართველოს ბანკის ჯგუფის შვილობილი კომპანიები მათ შორის Galt & Taggart, მიყვება გაწერილ, შემუშავებულ წესდებებსა და სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც ამოწმებს როგორც მომხმარებლის ისე ტრანზაქციების დეტალებს, რათა საერთაშორისო სანქციებთან იყვნენ შესაბამისობაში.

მოსალოდნელი რისკი

ჯგუფის კომპანიები აიდენტიფიცირებენ, აკონტროლებენ და აანალიზებენ მოსალოდნელ რისკებს. ეს ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს მიეწოდება. უფრო ფართო, მაკრო და რეგიონალური რისკები ასევე გათვალისწინებულია და პრეზენტაციის სახით რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს..

5. რეპორტის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი ადამიანები

სს BG Financial-ის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშისა და მენეჯმენტის რეპორტის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე.

მენეჯმენტის რეპორტი დირექტორთა საბჭომ დაადასტურა 2023 წლის 25 სექტემბერს და ხემოწერილია მათ მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორი

სულხან გვალია

ფინანსური დირექტორი

25 სექტემბერი 2023

5. **რეპორტის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი ადამიანები**

სს BG Financial-ის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშისა და მენეჯმენტის რეპორტის მომსახურებასა და გამოქვეყნებაზე.

მენეჯმენტის რეპორტი დირექტორთა საბჭომ დაადასტურა 2023 წლის 25 სექტემბერს და ხემოწერილია მათ მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორი

სულხან გვალია

ფინანსური დირექტორი

25 სექტემბერი 2023

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ბიჯი ფინანსშემალი“ აქციონერებთან და დირექტორთა საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „ბიჯი ფინანსშემალი“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შესრულებული გვაქვს ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 22-ე შენიშვნაზე, რომელშიც წარმოდგენილია ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოსატყობი ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით, ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აქციონერთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Closer to you

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში, ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის პროცედურებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობასა და მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოვავლენთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის ფარგლებში არსებული კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგებ, აგრეთვე, აუდიტის პროცესში გამოვლილ მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობისას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თივის“ სახელით (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

2023 წლის 25 სექტემბერი

Closer to you

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაგლენას იქონიებენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში, ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინაჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის პროცედურებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიხედვითი სიზუსტის სიზუსტისა და მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოვავლენთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებისა და მოვლენების ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის ფარგლებში არსებული კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგენს, აგრეთვე, აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, ასეთის არსებობისას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შესაბამეა კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თივის“ სახელით (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

2023 წლის 25 სექტემბერი



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	142,328	213,775
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	23,719	18,581
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	8,303	6,042
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8	1,649	1,889
გადახდილი ავანსები		1,728	702
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,655	5,046
აქტივის გამოყენების უფლება		2,487	3,876
საინვესტიციო ქონება		1,473	1,473
ძირითადი საშუალებები	10	31,665	32,059
არამატერიალური აქტივები	10	19,137	19,475
სხვა აქტივები	11	8,135	8,741
სულ აქტივები		246,279	311,659
ვალდებულებები			
კლიენტების ანაზრები	5	75,747	154,750
კრედიტორული დავალიანება	12	54,676	48,702
საიჯარო ვალდებულება		2,305	3,906
სხვა ვალდებულებები	11	15,750	22,453
სულ ვალდებულებები		148,478	229,811
კაპიტალი	14		
სააქციო კაპიტალი		2,786	2,507
დამატებით შეტანილი კაპიტალი		51,905	41,609
სააქციო კაპიტალი		(276)	(276)
სხვა რეზერვები		(10,543)	(10,355)
გაუნაწილებელი მოგება		53,579	48,096
"ბიჯი ფაინანშიალის" აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი		97,451	81,581
არასაკონტროლო პაკეტი		350	267
სულ კაპიტალი		97,801	81,848
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		246,279	311,659

ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა დირექტორთა საბჭომ 2023 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილ იქნა შემდეგი პირების მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორი

სულხან გვალია

ფინანსური დირექტორი

სს „ბიჯი ფაინანშიალი“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	142,328	213,775
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	23,719	18,581
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	8,303	6,042
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8	1,649	1,889
გადახდილი ავანსები		1,728	702
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,655	5,046
აქტივის გამოყენების უფლება		2,487	3,876
საინვესტიციო ქონება		1,473	1,473
ძირითადი საშუალებები	10	31,665	32,059
არამატერიალური აქტივები	10	19,137	19,475
სხვა აქტივები	11	8,135	8,741
სულ აქტივები		246,279	311,659
ვალდებულებები			
კლიენტების ანაზრები	5	75,747	154,750
კრედიტორული დავალიანება	12	54,676	48,702
საიჯარო ვალდებულება		2,305	3,906
სხვა ვალდებულებები	11	15,750	22,453
სულ ვალდებულებები		148,478	229,811
კაპიტალი	14		
სააქციო კაპიტალი		2,786	2,507
დამატებით შეტანილი კაპიტალი		51,905	41,609
სააქციო კაპიტალი		(276)	(276)
სხვა რეზერვები		(10,543)	(10,355)
გაუნაწილებელი მოგება		53,579	48,096
"ბიჯი ფაინანშიალის" აქციონერებისთვის		97,451	81,581
განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი			
არასაკონტროლო პაკეტი		350	267
სულ კაპიტალი		97,801	81,848
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		246,279	311,659

ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა დირექტორთა საბჭომ 2023 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერა იქნა შემდეგი პირების მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორი

სულხან გვალია

ფინანსური დირექტორი

27-52 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

		შენიშვნები	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი				
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:				
მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან			320	1,065
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან			79	740
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან			2,950	109
			3,349	1,914
საპროცენტო ხარჯი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე			(1,824)	(100)
საიჯარო ვალდებულება			(96)	(93)
			(1,920)	(193)
			1,429	1,721
წმინდა საპროცენტო შემოსავალი				
გასამრჯელო და საომისიო შემოსავალი			65,216	54,609
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი			(8,335)	(8,843)
წმინდა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	15		56,881	45,766
საკურსო სხვაობის წმინდა (ზარალი)/მოგება			(519)	(501)
უძრავი ქონებიდან მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება			47	(16)
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში			(1,336)	(7)
სხვა შემოსავალი	17		13,900	10,236
			70,402	57,199
შემოსავალი				
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16		(29,489)	(23,668)
ადმინისტრაციული ხარჯები	16		(11,400)	(8,404)
ცვტა და ამორტიზაცია			(15,276)	(10,037)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17		(7,741)	(7,064)
საოპერაციო ხარჯები			(63,906)	(49,173)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი/(ზარალი ერთჯდერად მუხლებამდე)			6,496	8,026
წმინდა ერთჯერადი მუხლები			552	(71)
წლის მოგება/(ზარალი)			7,048	7,955
სულ მოგება, მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:				
– "ბიჯი ფაინანშიალის" აქციონერები			6,983	7,960
– არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები			65	(5)
			7,048	7,955

27-52 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2022	2021
წლის მოგება/(ზარალი)		7,048	7,955
სხვა სრული (ზარალი)/მოგება			
<i>სხვა სრული (ზარალი)/ მოგება, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება:</i>			
– (ზარალი)/მოგება საკუროს სხვაობიდან		(99)	(155)
წმინდა სხვა სრული (ზარალი)/მოგება, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება		(99)	(155)
წლის სხვა სრული (ზარალი)/მოგება, გადასახადის გათვალისწინებით		(99)	(155)
მთლიანი სრული შემოსავალი, მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:			
– "ბიჯი ფაინანშიალის" აქციონერები		6,884	7,805
– არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		65	(5)
		6,949	7,800

27-52 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბიჯი ფაინანშიალი“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

მიკუთვნებადი "ბიჯი ფაინანშიალის" აქციონერებზე								
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გამოსყიდული საკუთარი აქციები	სხვა რეზერვები	გაუნაწილე ბეღი მოგება	არასაკონტ როლო პაკეტი	სულ	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2020 წ.	2,440	39,677	(276)	(10,180)	40,136	71,797	252	72,049
წლის მოგება	-	-	-	-	7,960	7,960	(5)	7,955
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	-	(155)	-	(155)	-	(155)
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	-	-	(155)	7,960	7,805	(5)	7,800
კაპიტალის ზრდა	67	1,932	-	-	-	1,999	-	1,999
სააქციო კაპიტალის ზრდა შვილობილ საწარმოებში	-	-	-	(20)	-	(20)	20	-
31 დეკემბერი, 2021 წ.	2,507	41,609	(276)	(10,355)	48,096	81,581	267	81,848
წლის მოგება	-	-	-	-	6,983	6,983	65	7,048
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	-	(99)	-	(99)	-	(99)
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	-	-	(99)	6,983	6,884	65	6,949
კაპიტალის ზრდა	279	10,296	-	-	-	10,575	-	10,575
ჯგუფის აქციონერების დივიდენდები(შენიშვნა 14)	-	-	-	-	(1,500)	(1,500)	-	(1,500)
სააქციო კაპიტალის ზრდა შვილობილ საწარმოებში	-	-	-	(89)	-	(89)	18	(71)
31 დეკემბერი, 2022 წ.	2,786	51,905	(276)	(10,543)	53,579	97,451	350	97,801

27-52 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		3,349	1,914
გადახდილი პროცენტი		(1,920)	(205)
მიღებული საკომისიო		65,216	54,609
გადახდილი საკომისიო		(8,335)	(8,843)
უმრავი ქონებიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		63	120
წმინდა რეალიზებული მოგება ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალი		(3,597)	2,340
უცხოური ვალუტების ოპერაციებიდან რეალიზებული წმინდა მოგება/ (ზარალი)		128	30
სხვა მიღებული შემოსავალი		14,993	9,931
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(29,489)	(23,668)
გადახდილი ზოგადი, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები		(19,103)	(13,239)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		21,305	22,989
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა კლება/ (ზრდა)</i>			
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		27	(1,741)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა (კლება)/ ზრდა</i>			
კლიენტების ანაზრები		(72,758)	112,723
სხვა ვალდებულებები		(1,128)	12,618
საოპერაციო საქმიანობიდან (გამოყენებული) / მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(52,554)	146,589
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
მეკავშირებზე გაცემული დამატებითი ინვესტიციები		(735)	-
ფულადი ნაკადების გადინება კლიენტებზე გაცემული სესხების შედეგად		(6,005)	(2,406)
საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხების შემცირება/ (განთავსება)		(5,138)	(5,777)
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე არსებული ვალდებულებების გადახდა		-	(3,172)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(14,028)	(9,938)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(25,906)	(21,293)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		(1,415)	(847)
სააქციო კაპიტალის გამოშვება		10,575	1,999
გადახდილი დივიდენდები		(1,500)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		7,660	1,152
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(647)	(531)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		(71,447)	125,917
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5	213,775	87,858
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	142,328	213,775

27-52 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „ბიჯი ფაინანშიალი“ (შემდგომში, „ბიჯი ფაინანშიალი“) წარმოადგენს კომპანიათა ჯგუფს (შემდგომში, „ჯგუფი“), რომელიც კორპორატიულ და ინდივიდუალურ კლიენტებს უწევს საბროკერო, ინვესტიციის მართვის, ასევე, საბარათო და გადახდის მომსახურებებს. ჯგუფში შემავალი კომპანიების სია მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

„ბიჯი ფაინანშიალის“ იურიდიული მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზირი #79, თბილისი 0102, საქართველო. საიდენტიფიკაციო ნომერი: 402018918

2017 წლის 1-ლი იანვრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბიჯი გრუფ ფლს“ („BGEO PLC“, ყოფილი სახელწოდება Bank of Georgia Holdings PLC) იყო გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული ღია სააქციო საზოგადოება და წარმოადგენდა სს „ბიჯი ფაინანშიალის“ საბოლოო მშობელ კომპანიას. „ბიჯი გრუფ ფლს“-ს აქციები დაშვებული იყო გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის ოფიციალური სიის პრემიუმ ლისტინგში და სავაჭროდ დაშვებული იყო „ლონდონის საფონდო ბირჟა ფლს“-ს მთავარ ბაზარზე ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდებისთვის, რომელიც ძალაშია 2012 წლის 28 თებერვლიდან.

2017 წლის 3 ივლისს, „ბიჯი გრუფ ფლს“-მ განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, რომ „ბიჯი გრუფ ფლს“ გაეყო ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ საბანკო ბიზნესად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ სახით, და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ საინვესტიციო ბიზნესად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ სახით, 2018 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის. გაყოფა (შემდგომში წოდებული „გაყოფა“) დასრულდა 2018 წლის 29 მაისს და, შედეგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი ფლს“ („BOGG“) გახდა სს „ბიჯი ფაინანშიალის“ 100% წილის მფლობელი. 2020 წლის 31 დეკემბერს, „საქართველოს ბანკის ჯგუფი ფლს“ წარმოადგენდა „ბიჯი ფაინანშიალის“ საბოლოო მშობელ კომპანიას.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯი გრუფი“ იყო „ბიჯი ფაინანშიალის“ ძირითადი პირდაპირი აქციონერი:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქციონერი		
სს "ბიჯი გრუფი"	85.92%	84.16%
"საქართველოს ბანკის ჯგუფი ფლს"	14.08%	15.84%
სულ	100.00%	100.00%

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბს“) მიერ, რომელიც ძალაშია 2022 საანგარიშო წლისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით შეფასებისა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების უწყვეტი საქმიანობის საფუძვლის მიღებისას, „ბიჯი ფაინანშიალის“ საბჭომ განიხილა ჯგუფის ბიზნეს საქმიანობა, ამოცანები და სტრატეგია, ძირითადი რისკები, გაურკვევლობები მიზნების მიღწევაში და საქმიანობის შედეგები. საბჭომ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნა დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

სს „ბიჯი ფაინანსიალი“ და შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 მდგომარეობით შემდეგ შვილობილ კომპანიებსა და მეკავშირე საწარმოებს მოიცავს:

შვილობილი კომპანიები	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი საწესდებო კაპიტალის წილი		რეგისტრაციის ქვეყანა	სფერო	დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი
	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.				
სს "გალტ ენდ თაგარტი"	100.00%	100.00%	საქართველო	საბროკერო და აქტივების მართვის მომსახურება	19-12-1995	28-12-2004
⇒ წარმომადგენლობა სს "ბიჯი კაპიტალი" აზერბაიჯანში	100.00%	100.00%	აზერბაიჯანი	წარმომადგენლობა	28-12-2013	–
⇒ გარტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედი ⇒ შპს "ბიჯი კაპიტალი" (ბელარუსია)	100.00%	100.00%	კვიპროსი	ინვესტიციები	3-7-2006	–
შპს "სოლო"	100.00%	100.00%	ბელარუსია	საბროკერო მომსახურება	19-2-2008	–
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი"	100.00%	100.00%	საქართველო	ვაჭრობა	22-4-2015	–
სს "ექსპრეს ტექნოლოგიები"	100.00%	100.00%	საქართველო	რეგისტრატორი	29-5-2006	–
⇒ სს "ჯორჯიან ქარდი"	99.48%	99.48%	საქართველო	ინვესტიციები	29-10-2007	–
⇒ შპს "დაიერტ დეიტ ჯორჯია"	100.00%	100.00%	საქართველო	ბარათების დამუშავება	17-1-1997	20-10-2004
⇒ შპს "დიდი დიდის კვლევითი ცენტრი"	100.00%	100.00%	საქართველო	ელექტრონული გადახდის მომსახურება	7-3-2006	–
⇒ შპს "მეტრო სერვისი"	100.00%	100.00%	საქართველო	საკომუნიკაციო მომსახურება	23-4-2007	–
სს "დიჯიტალ არეა" (ყოფილი სს "პო ლიმათ ჯგუფი")	100.00%	100.00%	საქართველო	ბიზნეს მომსახურება	10-5-2006	–
⇒ შპს "ექსპრეს არეა"	99.34%	98.68%	საქართველო	ციფრული მომსახურება	6-8-2018	–
⇒ შპს "იზი ბოქსი"	100.00%	100.00%	საქართველო	ციფრული მომსახურება	22-5-2019	–
			საქართველო	სატრანსპორტო	22-12-2020	–
მეკავშირე კომპანიები	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი საწესდებო კაპიტალის მფლობელთა თანაფარდობა		რეგისტრაციის ქვეყანა	სფერო	დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი
	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.				
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	24.04%	24.04%	საქართველო	ფინანსური შუამავლობა	8-5-2015	23-12-2016

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფი ახდენს შვილობილი კომპანიის კონსოლიდაციას, როდესაც აკონტროლებს მას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ, არსებული უფლებები საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობები);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და,
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედებანი ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის, შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლებების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში, შესწორებები ხორციელდება შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებში მათი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანისთვის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

ყველა შიდა ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრები ჯგუფის წევრებს შორის გარიგებებთან დაკავშირებით ამოღებულია კონსოლიდაციის მომზადებისას.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;
- მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, თუმცა, არ აკონტროლებს, ან, ერთობლივად არ აკონტროლებს. კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ჯგუფის წილი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო, რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ჯგუფი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ჯგუფსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ტრანზაქციებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც ელიმინირდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტრანზაქცია ადასტურებს გადაცემული აქტივის გაუფასურებას. როდესაც კაპიტალში ინვესტიცია ხდება მეკავშირე საწარმო, ხდება ინვესტიციის გადაფასება სამართლიან ღირებულებაზე, ხოლო, მანამდე აღიარებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც სხვა სრულ შემოსავალში იყო აღიარებული, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, ზოგიერთი მომხმარებელზე გაცემული სესხი, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო ქონება), ჯგუფი აფასებს სამართლიანი ღირებულებით, ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღზე. ასევე, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ტრანზაქცია ხორციელდება:

- აქტივებისა და ვალდებულებების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯგუფისთვის. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ დაშვებების გამოყენებით, რომელსაც გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მიხედვით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილეთა შესაძლებლობას შექმნან ეკონომიკური სარგებელი აქტივის მაქსიმალურად და საუკეთესოდ გამოყენების გზით ან მისი მიყიდვით სხვა ბაზრის მონაწილეზე, რომელიც მაქსიმალურად და საუკეთესოდ გამოიყენებს აქტივს.

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც გამართლებულია აღნიშნულ გარემოებებში და რომლებზეც არსებობს მონაცემები სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რაც ზრდის დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას და ამცირებს არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელზეც სამართლიანი ღირებულება ფასდება ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის ფარგლებში, ყველაზე დაბალი დონის საწყისი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

- დონე 1 – კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – შეფასების მეთოდები, რომლითაც სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის საწყისი მონაცემები, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკვირვებადი.
- დონე 3 – შეფასების მეთოდები, რომლითაც სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის საწყისი მონაცემები, არ არის დაკვირვებადი.

აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში პერიოდულად, ჯგუფი ადგენს, მოხდა თუ არა გადატანა იერარქიის დონეებს შორის კატეგორიზაციის განმეორებით შეფასების საფუძველზე (ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში) თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს აქტივების და აქტივების საკონტრაქტო პირობების მართვის ბიზნეს მოდელზე დაფუძნებით, რომლებიც განისაზღვრება:

- სამართლიანი ღირებულებით მოგება–ზარალში (FVPL);
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) მოგება–ზარალში გადატანით, სავალო ინსტრუმენტების გასხვისებისას;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) მოგება–ზარალში გადატანის გარეშე, წილობრივი ინსტრუმენტებისთვის; და
- ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტები არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით მოგება–ზარალში, პირდაპირ დაკავშირებული მოსაკრებლების და ხარჯების მიხედვით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება, ჩვეულებრივ, არის გარიგების ფასი. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასიგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით (ე.ი. 1-ლი დონის მონაცემები), ან ეფუძნება შეფასების მეთოდებს, რომელიც უყენებს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის ჯგუფი აღიარებს მოგებად ან ზარალად.
- ყველა სხვა შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის გადატანის მიზნით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი აღიარებს აღნიშნულ სხვაობას მოგებად ან ზარალად მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება დაკვირვებადი, ან როდესაც შეწყდება ინსტრუმენტის აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აფასებს საკრედიტო დაწესებულებებიდან მისაღებ თანხებს და სხვა ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, იმ შემთხვევაში, თუ შესრულებდა შემდეგი პირობები;

- ფინანსური აქტივი ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში ითვალისწინებს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (SPI) გადაუხდელობის მიერ თანხაზე.

აღნიშნული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელი

ჯგუფი ბიზნეს მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების მართვას ბიზნეს მიზნის მიღწევისათვის. ბიზნეს მოდელი არ ფასდება ცალკე თითოეული ინსტრუმენტისთვის, არამედ თითოეული ტიპის ინსტრუმენტის მთლიანი პორტფელის მაღალ დონეზე და ეფუძნება შემდეგ დაკვირვებად ფაქტორებს:

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელის (და ამ ბიზნეს მოდელში შემავალი ფინანსური აქტივების) პერფორმანსზე, და, განსაკუთრებით, რისკების მართვის გზებზე;
- ბიზნესის მენეჯერების კომპენსაციების გზებზე (მაგ. მართვის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე და დაფუძნებული კომპენსაცია, თუ კონტრაქტის პირობებში მიღებულ ფულად ნაკადებზე); და
- გზებზე, თუ როგორ არის შეფასებული და წარდგენილი განსაზღვრული ბიზნეს მოდელის ფარგლებში არსებული ფინანსური აქტივები მაღალი რგოლის მენეჯმენტის პერსონალისთვის.

ფასს 9-ის ფარგლებში წარმოდგენილია სამი ბიზნეს მოდელი:

- ამოსაღებად ფლობილი: ამ მოდელის მიზანია აქტივების ფლობა დაფარვამდე პროცენტის მიღებისთვის, კონტრაქტისგან ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ამოღებით.
- ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი: ეს მოდელი „ამოსაღებად ფლობილი“ მოდელის მსგავსია, გარდა იმისა, რომ საწარმოს შეუძლია გაყიდოს ყველა ან ნაწილი აქტივები დაფარვამდე გარემოებების ცვლილების მიხედვით ან ფლობდეს აქტივებს ლიკვიდურობის მიზნებისთვის.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ აკმაყოფილებს „ამოსაღებად ფლობილის“ ან „ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილის“ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი ფლობილია „ამოსაღებად ფლობილი“ ან „ამოსაღებად ან გასაყიდად ფლობილი“ ბიზნეს მოდელის ფარგლებში, მაშინ, კლასიფიკაციის მინიჭება იმის განსაზღვრად, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაფარვარზე ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას თავდაპირველი აღიარებისას, მოითხოვს შეფასებას. SPPI-ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაფარვარზე ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითადი თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან, და ასევე, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ჯგუფი აფასებს, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ისეთ პირობას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან თანხები (რომლებიც წარმოიშობა ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადაში), რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

თუ SPPI-ის პირობები დაირღვევა, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში (FVTPL), მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI)

ჯგუფი აფასებს სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), თუ დაკმაყოფილება შემდეგი კატეგორიები:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

FVOCI სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო, მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებებით, აისახება სხვა სრულ შემოსავალში (OCI). საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში იგივე ფორმით, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში. აღიარების შეწყვეტისას, მანამდე სხვა სრულ შემოსავალში (OCI) აღიარებული მთლიანი მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან (OCI) მოგება-ზარალში.

წილობრივი ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) - ოფიონით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი გამოუხმობად ახდენს თავისი წილობრივი ინსტრუმენტების კლასიფიკაციას წილობრივი ინსტრუმენტებად სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), თუ ისინი აკმაყოფილებენ წილის დეფინიციას ბასს 32-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენის“ შესაბამისად და არ არიან სავაჭროდ ფლობილი. ასეთი კლასიფიკაცია განისაზღვრება ცალკეული ინსტრუმენტის საფუძველზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

აღნიშნულ წილობრივ ინსტრუმენტებზე მოგება და ზარალი არასოდეს რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში. დივიდენდები აღიარებულია მოგება-ზარალში. წილობრივი ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) არ ექვემდებარებიან გაუფასურებას.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივების ჯგუფები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც „ამოსაღებად ფლობილ“ და არც „ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხებისგან, რომელიც დასაფარია წარმოშობიდან 90 დღის განმავლობაში და თავისუფალია საკონტრაქტო ვალდებულებებისგან და რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად.

სასესხო სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული, ან ფინანსური ინსტრუმენტი, ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებებისა და კლიენტების მიმართ (მათ შორის, გამოშვებულ მარტივ თამასუქებს). აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება შესაბამისი ოპერაციასთან პირდაპირ დაკავშირებული თანხები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე, ამორტიზაციის პროცესში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

იჯარები

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ხელშეკრულების გაფორმებისას, ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იჯარის ვადის დაწყების დღედ ჯგუფი განიხილავს დღეს, როდესაც მეიჯარე ჯგუფს გადასცემს საიჯარო აქტივს გამოსაყენებლად. თუ საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს რამდენიმე საიჯარო კომპონენტს, ჯგუფი კონტრაქტში მითითებულ ანაზღაურებას ანაწილებს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე მათი შესაბამისი განცალკევებადი ფასების საფუძველზე და აღრიცხავს მათ განცალკევებულად.

ჯგუფის ძირითადი საიჯარო საქმიანობა მოიცავს მომსახურების სერვის ცენტრების, ბანკომატებისა და სასაწყობო ფართებისთვის იჯარას. იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი არის 10 წლამდე. ძირითად შემთხვევებში არის ფიქსირებული საიჯარო გადახდები. ხელშეკრულებები, ზოგადად, არ შეიცავს გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას საიჯარო ვადაზე და არ აწესებს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულებას.

➤ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულებების აღიარება

საიჯარო ვადის დაწყების პერიოდში ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის თანხას დაკორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდით, რომელიც გადახდილია საიჯარო ვადის დაწყების პერიოდში ან მანამდე, დამატებული თავდაპირველად გაწეული პირდაპირი დანახარჯები და შეფასებული დემონტაჟის დანახარჯები, არსებობის შემთხვევაში. აქტივის გამოყენების უფლება შემდგომ იცვითება წრფივი მეთოდის გამოყენების საფუძველზე მთელი საიჯარო ვადის პერიოდის განმავლობაში. ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებაზე იყენებს თვითღირებულების მოდელს, გარდა იმ აქტივების, რომლებიც დააკმაყოფილებენ საინვესტიციო ქონების განმარტებას, ამ შემთხვევაში გამოყენებული გადაფასების მოდელი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით დამატებითი ღირებულების გამოკლებით, დისკონტირებით ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით (IBR). საიჯარო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით IBR-ის გამოყენების საფუძველზე.

აღიარებიდან განთავისუფლება

ჯგუფი იყენებს აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საიჯარო ვადები სრულდება საწყისი აღიარებიდან 12 თვის განმავლობაში და იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებზეც საიჯარო აქტივებს დაბალი ღირებულება აქვთ. ჯგუფი ამ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

საიჯარო ხელშეკრულებების მოდიფიკაცია

თუ საიჯარო ხელშეკრულება მოდიფიცირებულია იჯარის გამოყენების სფეროს ცვლილების ან საიჯარო ანაზღაურების ცვლილების გამო, რომელიც არ იყო თავდაპირველი საიჯარო ვადის და ანაზღაურების ნაწილი, ჯგუფი განსაზღვრავს, იწვევს თუ არა ცვლილებას, როგორც:

- განცალკევებული იჯარა; ან
- მიმდინარე იჯარის აღრიცხვის ცვლილება.

ჯგუფი აღრიცხავს იჯარის მოდიფიცირებას, როგორც განცალკევებულ იჯარას, როდესაც ორივე კრიტერიუმი კმაყოფილდება:

- მოდიფიცირება ზრდის იჯარის გამოყენების სფეროს ახალი საიჯარო აქტივის გამოყენების უფლების დამატებით; და
- იჯარის ანაზღაურება იზრდება ისეთი ოდენობით, რომელიც თანაზომადია იჯარის გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი განცალკევებული ხელშეკრულების ფასისა და ასევე კონკრეტული ხელშეკრულების გარემოებების ამსახველი, ამ განცალკევებული ფასის ნებისმიერი შესაბამისი კორექტირების გათვალისწინებით.

იმ საიჯარო მოდიფიცირებისთვის, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, ჯგუფი გადააფასებს საიჯარო ვალდებულებას:

- აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულების შემცირებით, რომ ასახავდეს იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას იჯარის მოდიფიკაციებისთვის, რომლებიც ამცირებს იჯარის მოქმედების ვადებს. ჯგუფი აღიარებს მოგებას ან ზარალს ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტილ იჯარებთან დაკავშირებით მოგება-ზარალში;
- კორესპონდენციის კორექტირებით საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებაზე ყველა სხვა იჯარის მოდიფიკაციისათვის.

ჯგუფი როგორც მეიჯარე

იჯარის დაწყებისას, ჯგუფი ახდენს იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად.

ფინანსური იჯარა

იჯარა, რომელიც საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს გადასცემს მთლიანად მოიჯარეს, კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა. სხვა დანარჩენი იჯარები კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო მოთხოვნებს აღიარებს იჯარის წმინდა ინვესტიციის შესაბამისი ღირებულებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებების გადანაგარიშებისას დისკონტირების ფაქტორად აიღება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. საწყისი პირდაპირი დანახარჯები შედის ფინანსური საიჯარო მოთხოვნების თავდაპირველ გაზომვაში. მიღებული საიჯარო გადახდები გაყოფილია ფინანსური შემოსავლად და ძირითადი თანხის საიჯარო მოთხოვნებად. ფინანსური შემოსავალი ეფუძნება ნიმუშს, რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ ამოგების კოეფიციენტს წმინდა ინვესტიციიდან.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი წარადგენს საოპერაციო იჯარებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ბუნებიდან გამომდინარე. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აღიარდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში, როგორც სხვა წმინდა შემოსავალი. საწყისი პირდაპირი დანახარჯები წარმოქმნილი საოპერაციო იჯარისგან შემოსავლის მისაღებად ემატება იჯარის აქტივის საანგარიშგებო ღირებულებას. იჯარის აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოიყენებოდა 2019 წლის 1 იანვრამდე, შესაძლებელია ინახოს გასული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილებები გაუფასურების შეფასებაში

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას ყველა ფინანსური აქტივისთვის და ასახავს მოსალოდნელ ზარალს გამოყენების სრულ ვადაზე.

ფას 9-ის მიხედვით, გაუფასურების ზარალი და რეზერვი აღიარდება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის მოდელის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც რეზერვები აღებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ფას 9-ის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი დაშვებები და ვარაუდები წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, შესაბამის შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება, როდესაც:

- ამოიწურება აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება; ან
- ჯგუფმა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება გადასცა, ან შეინარჩუნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, მაგრამ, იკისრა მათი არსებითი დაგვიანების გარეშე სრულად გადახდის ვალდებულება მესამე მხარისთვის ტრანზიტული შეთანხმების საფუძველზე; და
- ჯგუფი (ა) გადასცემს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ან (ბ) არ გადასცემს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ გადასცემს აქტივის კონტროლს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო, შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, რომელსაც აკლდება დასრულების სავარაუდო ხარჯი და გაყიდვის განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო ხარჯი.

დაბეგვრა

საქართველოში, 2017 წლის 1 იანვრიდან, არ იბეგრება საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც ფლობილია საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით და რომელიც არ გამოიყენება ჯგუფის მიერ.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, მათ შორის, გარიგების ხარჯებით და შემდეგ ხელახლა ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის, იმ დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი ლოკაციის და კატეგორიის მქონე ქონების შეფასებაში.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი მოგება და ზარალი, მათ შორის, მიღებული საიჯარო შემოსავალი, აისახება მოგება-ზარალში, სხვა წმინდა შემოსავლის ფარგლებში. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მფლობელი, მოხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის გახდება პირობითი ღირებულება, რომელიც შემდგომ გაუფასურდება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის ექსპლუატაციაში გასაშვებად. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
საოფისე შენობები	100 წლამდე
სხვა	7-30
ავეჯი და მოწყობილობები	10
კომპიუტერები და აღჭურვილობა	5-10
საავტომობილო მანქანები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და, შესაბამისად, კორექტირება, საჭიროებისამებრ, ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეწესდეს აქტივები მითითებულია თვითღირებულებით და არ გაუფასურდება იმ დრომდე, სანამ ისინი ხელმისაწვდომი გახდება გამოყენებისთვის და რეკლასიფიცირებულ იქნება ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფში.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებები გაუფასურდება დაკავშირებული საიჯარო აქტივის სასიცოცხლო ვადის ან მოსალოდნელი საიჯარო ვადის განმავლობაში, თუ საიჯარო ვადა უფრო ნაკლებია.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული შეძენილი არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადა შეზღუდულია და ამორტიზდება 4-15 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებით ხდება არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშნების არსებობისას. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება როგორც ხარჯი, მისი გაწევის ფარგლებში. პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები (დაკავშირებული ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამების დიზაინსა და ტესტირებასთან) აღიარდება როგორც არამატერიალურ აქტივები, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს შეუძლია ტექნიკური მიზანშეწონილობის ან პროგრამის დასრულების (ხელმისაწვდომი გამოყენებისთვის ან გაყიდვისთვის) სურვილის, მომავალი ეკონომიკური სარგებელის გენერირების გზების, აქტივის დასრულებისთვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობის და აქტივის დამუშავებისთვის გაწეული ხარჯების სარწმუნო შეფასების შესაძლებლობის დემონსტრირებას. სხვა კვლევითი და პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის მომენტიდან.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალად. გარეშე ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ახალი აქციების გამოშვებასთან, საწარმოს გაერთიანების გარდა, ასახულია, როგორც გამოქვითვა კაპიტალში შემოსავლებიდან. მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნამატი გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე, აღიარებულია, როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეთება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები წარმოდგინდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ემატება დივიდენდის თანხას და ასახულია პირდაპირ კაპიტალში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა, წარმოდგენილია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაფარვის მიზნით ფულადი ნაკადების გადინების ალბათობა სათუაა. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა, წარმოდგენილია მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის შედინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

გასამრეგლო და საკომისიო შემოსავალი

ჯგუფი იღებს გასამრეგლოს და საკომისიო შემოსავალს მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. გასამრეგლო და საკომისიო შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. შემოსავალი გასამრეგლოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ოპერაციების დამუშავების მომსახურებას, რაც მოიცავს მოვაჭრე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ პირისგან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით და ამ თანხების შემდგომ გადარიცხვას დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელიც იმავდროულად ურიცხავს თანხას მოვაჭრე სუბიექტებს გადახდის ოპერაციის დასრულებით თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით. ოპერაციების დამუშავებიდან შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება ოპერაციის ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით ან დამოუკიდებლად თითოეული ოპერაციისთვის. ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან

ჯგუფი საბროკერო მომსახურებას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო კლიენტებს გაყიდვების, ვაჭრობისა და შენახვის ოპერაციების განხორციელებით ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ბირჟებზე. ოპერაციების დამუშავებიდან შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება ოპერაციის ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით ან დამოუკიდებლად თითოეული ოპერაციისთვის. ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან

ჯგუფი ფინანსურ საკონსულტაციო მომსახურებას უწევს კერძო და საჯარო კომპანიებს, კერძო კაპიტალის მქონე კომპანიებსა და მაღალშემოსავლიან ფიზიკურ პირებს, როგორც შიდა ისე ტრანსსასაზღვრო ოპერაციებში. ამგვარი საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს დახმარებას შერწყმების და შეძენების პროცესში, ფინანსური რესტრუქტურიზაციის, შეფასებების თვალსაზრისით და სხვა მომსახურებებს. ამგვარი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროთა განმავლობაში შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

ერთჯერადი მუხლები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიკაციას და გაცხადებას. ჯგუფი ერთჯერად შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარემო ფაქტორებით, რომელთა წინასწარ განჭკვეტა შეუძლებელია და ამიტომ მათი გათვალისწინება არ უნდა მოხდეს სამომავლო პროგნოზების გაკეთებიდან.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა, გარდა „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედისა“, რომლის სამუშაო ვალუტა აშშ დოლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია სამუშაო ვალუტაში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის სამუშაო ვალუტის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი). იმ არაფულადი მუხლების გადანაწილება, რომლებიც თავდაპირველი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადანაწილდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც არაფულადი მუხლის მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, ამ მოგების ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო, როდესაც არაფულადი მუხლის მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში, ამ მოგების ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგება-ზარალში.

სხვაობები განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს აისახება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. „სებ“-ის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი იყო:

	ლარი გირვანქა სტერლინგთან მიმართებით	ლარი აშშ დოლართან მიმართებით	ლარი ევროსთან მიმართებით	ლარი ბელარუსულ რუბლთან მიმართებით
31 დეკემბერი, 2022 წ.	3.2581	2.7020	2.8844	1.0730
31 დეკემბერი, 2021 წ.	4.1737	3.0976	3.504	1.2101

საანგარიშგებო თარიღისთვის, იმ საწარმოების აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამუშაო ვალუტა ჯგუფის წარსადგენი ვალუტისგან განსხვავდება, ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო, მათი მოგება-ზარალის ანგარიშგების კონვერტაცია ხდება წლის საშუალო შეწონილი სავალუტო კურსით. გადანაწილებისას წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში. ჯგუფის წარსადგენი ვალუტისგან განსხვავებული სამუშაო ვალუტის მქონე შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს გასხვებისას, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამ კონკრეტულ საწარმოსთან დაკავშირებული გადავადებული კუმულატიური თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

უცხოური ოპერაციების შეძენის შედეგად მიღებული გუდვილი და ამ შეძენის შედეგად აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში სამართლიანი ღირებულების მისაღებად შეტანილი კორექტივები აღირიცხება, როგორც უცხოური ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები და კონვერტირდება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი კურსით.

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ცვლილებები

ბასს 37 რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

2020 წლის მაისში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 37-ში „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, რათა განემარტა, თუ რა ხარჯებს ითვალისწინებს ერთეული, შეაფასოს, არის თუ არა ხელშეკრულება რთული. შესწორებები აზუსტებს, რომ ხელშეკრულების „შესრულების ღირებულება“ მოიცავს „დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულებასთან“. ხარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულებასთან, შეიძლება იყოს ამ ხელშეკრულების შესრულების დამატებითი ხარჯები ან სხვა ხარჯების განაწილება, რომლებიც უშუალოდ ეხება კონტრაქტების შესრულებას. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ ეხება ხელშეკრულებას და გამოირიცხება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტრაქტის მიხედვით პირდაპირ გადასახდელი არ არის.

ცვლილებამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინტრუმენტები - საკომისიოები 10 პროცენტთან ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმებისთვის

როგორც 2018-2020 წლების ფასს სტანდარტების პროცესების წლიური გაუმჯობესების ნაწილი, ბასს-მა გამოსცა შესწორებები ფასს 9 სტანდარტისთვის. ჩასწორება განმარტავს ხარჯებს, რომლებსაც დაწესებულია ითვალისწინებს ახალი ან შესწორებული ფინანსური ვალდებულების პირობებსა და თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების პირობებს შორის განსხვავების შესაფასებლად.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს 9 - ფინანსური ინტრუმენტები - საკომისიოები 10 პროცენტთან ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმებისთვის (გაგრძელება)

აღნიშნული ხარჯები მოიცავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რომლებიც გადახდილია, ან მიღებულია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის. აღნიშნული ხარჯები, ასევე, მოისაზრებს ხარჯებს, რომლებიც გადახდილია ან მიღებულია მსესხებლის ან გამსესხებლის მიერ ერთმანეთის სახელით. დაწესებულება აღნიშნული შესწორების იმპლემენტაციას შეცვლილი ან გადაცვლილი ფინანსური ვალდებულებებისთვის მოახდენს წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, როდესაც იგი პირველად გაითვალისწინებს შესწორებას.

ცვლილებამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ცვლილებები

ცვლილება ფასს 3-ში, „სარაწმოთა გაერთიანება“ ანაახლებს ფასს 3-ში მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში, საწარმოთა გაერთიანების სააღრიცხვო მოთხოვნების შეცვლის გარეშე. ცვლილებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“, შეტანილი ცვლილებები - უკრძალავს კომპანიას წარმოებული ნივთების რეალიზაციით მიღებული თანხების გამოქვითვას მანამ, სანამ კომპანია ამზადებს აქტივს მისი დანიშნულებისამებრ. ნაცვლად ამისა, კომპანიამ უნდა აღიაროს მსგავსი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და ხარჯი, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვლილებამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანია, როგორც IFRS-ის პირველად მიმღები

ცვლილება შვილობილ კომპანიას, რომელიც ირჩევს გამოიყენოს IFRS 1-ის დ16(ა) პუნქტი, საშუალებას აძლევს შეაფასოს დაგროვილი სავალუტო სხვაობები იმ თანხების გამოყენებით, რომლებიც აღირიცხება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამ უკანასკნელის მიერ IFRS-ზე გადასვლის თარიღისთვის, თუ კორექტირება არ მომხდარა კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და ამ საწარმოთა გაერთიანებისთვის, რომლის შედეგად, მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ეს ცვლილება ასევე გამოიყენება ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოზე, რომელიც ირჩევს გამოიყენოს ფასს 1-ის დ16 (ა) პუნქტი. ცვლილებამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტები რომლებიც გაცემულია, მაგრამ ძალაში შესული ჯერ არ არის

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, წარმოდგენილია ქვემოთ. ჯგუფი აპირებს მომავალში შემოიტანოს ეს ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, თუ ეს შესაძლებელი იქნება მათი ძალაში შესვლის ტარიღისთვის.

ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

2020 წლის იანვარსა და 2020 წლის ივლისში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა: ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად“. ცვლილებები განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად, უნდა ეფუძნებოდეს უფლებებს, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის დასასრულს. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს მოლოდინი იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა ერთეული ვალდებულების გადახდის უფლებას და ცხადყოფს, რომ ანგარიშსწორება გულისხმობს კონტრაქტის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას. ცვლილებები ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ; ამასთანავე ნებადართულია ამ ცვლილების ვადამდელი გამოყენება. ჯგუფი აფასებს მოცემული ცვლილების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად – ცვლილებები ბასს 12-ში.

2021 წლის მაისში საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 12-ში, გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად. ცვლილება განმარტავს - როგორ აღრიცხავენ კომპანიები გადავადებულ გადასახადს ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა იჯარა და დეკომისიაციის ვალდებულებები. ცვლილებებმა შეამცირა ბასს 12-ის 15-ე და 24-ე პარაგრაფებში (აღიარების გამონაკლისი) აღიარების გათავისუფლების ფარგლები ისე, რომ იგი აღარ გამოიყენება იმ ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და გამოქვითვის დროებით სხვაობებს. ბასს-12-ში მომხდარი ცვლილებები, ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. ნებადართულია მათი ადრინდელი გამოყენება. ჯგუფი არ ელის, რომ ამ ცვლილებას ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები რომლებიც გაყვანილია, მაგრამ ძალაში შესული ჯერ არ არის (გაგრძელება)

ვიწრო მასშტაბის ცვლილებები

სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - ცვლილებების ბასს 8-ში:

2021 წლის თებერვალში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 8-ში, რომელშიც შემოაქვს „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. ცვლილებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებსა, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებსა და შეცდომების შესწორებებს შორის. ისინი ასევე განმარტავენ, თუ როგორ იყენებენ ბიზნესები გაზომვის მეთოდებსა და მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების შესაძლებლობად. ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ, დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებებზე სააღრიცხვო პოლიტიკასა და სააღრიცხვო შეფასებებში, რომლებიც ხდება მოცემული პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ. ნაბარათულია ცვლილების ადრინდელი გამოყენება მისი გამჟღავნების შემთხვევაში.

მოსალოდნელია, რომ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამჟღავნება - ცვლილებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2. 2021 წლის თებერვალში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2-ში, მატერიალურობის შეფასების შედგენა, რომელიც იძლევა მითითებებს და მაგალითებს, რათა დაეხმაროს ერთეულებს გამოიყენონ მატერიალურობის შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკაში გამჟღავნების მიღებისას. ცვლილებების მიზანია დაეხმაროს ერთეულებს წარმოადგინონ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება, ვინაიდან მათთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ერთეულების მოთხოვნების ჩანაცვლება მათი „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნების მოთხოვნით - მათი „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნების მოთხოვნით და დაემატოს მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებენ ერთეულები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნების გადაწყვეტილების მიღებისას.

ცვლილებები ბასს 1-ში ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ცვლილების ადრინდელი გამოყენება.

ჯგუფი აფასებს ცვლილების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული თანხების დასადგენად, ჯგუფის დირექტორთა საბჭო და ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ თავიანთ შეხედულებებსა და შეფასებებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის, მათემატიკური მოდელით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც შესაძლებელია, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (შენიშვნა 19).

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

